*დანართი №2*

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ხ ა რ ი ს ხ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი ც ე ნ ტ რ ი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

**წევრები:**

ირმა ღარიბაშვილი

ლევან მადათოვი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019)*

*დანართი №2*

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 245 610 398

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ბლექსი“ მიმდინარე წლის 18, 19, 20 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 3 ივნისის N451 ბრძანების საფუძველზე.

დაწესებულება ავტორიზებულია 2014 წლის 29 აგვისტოს N16 გადაწყვეტილებით 5 წლის ვადით, ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღია 2019 წლის 29 აგვისტო. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანი იყო დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტადარტებთან შესაბამისობის დადგენა.

ვიზიტი წარიმართა კომფორტულ ვითარებაში, სამი დღის განმავლობაში ჩამოყალიბდა კონსტრუქციული თანამშრომლობა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების პირობები ავტორიზაციის სამივე სტანდარტის მიხედვით, მოხდა დაწესებულების წარმომადგენლებთან, მათ შორის კოლეჯის დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მენეჯერთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, ინსტრუქტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება, ასევე, კოლეჯის მატერიალური რესურსის შემოწმება, პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის მიხედვით. **(დანართი 1)**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

| **მდგომარეობა** (ახალი/არსებული) | **სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა** | **საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა** | **საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა** | **შენობა-ნაგებობების ფართი** | **მისამართების რაოდენობა და მდებარეობა** (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში) |
|---|---|---|---|---|---|
| არსებული | 300 | 8 | 55 | 2071,99 კვ.მ. | ქ.ბათუმი, ლერმონტოვის ქ.N92 ა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019)*

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| **2. პროფესიული** | | **მუხლი 7** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | | | |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | □ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | □ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | ☐ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | ☐ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | ☐ |
| **3. პროფესიული** | | **მუხლი 8** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

----



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019)*

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

------

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

**რეკომენდაცია:** სასურველია ვებგვერდზე განთავსდეს დაწესებულების წლიური ანგარიშები (სამოქმედო გეგმის შესრულების, ფინანსური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები და სხვა). აღნიშნული უზრუნველყოფს მეტ გამჭვირვალობას დაინტერესებული მხარეებისთვის (პარტნიორი ორგანიზაციები, აპლიკანტები და სხვა). მათ ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია კოლეჯის შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2019)*

VII. დაწესებულების მისია

**კოლეჯის მისიაა იყოს რეგიონის ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილე, სადაც მზარდია სწავლის მსურველთა და სოციალურ პარტნიორთა რაოდენობა.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტების შეფასება

# 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე გადამოწმებული იქნა სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსის“ მიერ წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: **კულინარიის ხელოვნება(მოდულური, დუალური მიდგომით),კონდიტერია(დუალური მიდგომით), ელექტროობა(მოდულური მიდგომით), ინფორმაციის ტექნოლოგია(მოდულური მიდგომით),სამკერვალო წარმოება(მოდულური მიდგომით), მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები(მოდულური და დუალური მიდგომით), სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება(დუალური მიდგომით), საავტომობილო გზების მშენებლობა(დუალური მიდგომით).**

წარმოდგენილი 8 პროგრამიდან მხოლოდ „სამკერვალო წარმოების“ მოდულური პროგრამაა შემუშავებული და დამტკიცებული 2019 წელს, სხვა პროგრამებში განხორციელებულია ცვლილებები შესაბამის ჩარჩო დოკუმენტში ცვლილებების განხორციელების და ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების გამო.
კოლეჯი მილევად რეჟიმში ახორციელებს მესამე საფეხურის სამ პროფესიულ პროგრამას. ვიზიტის დროს პროფესიული სტუდენტების რაოდენობა პროგრამების მიხედვით იყო 63, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი-28 (8სტატუსი შეჩერებული), ბართენდერი- 31(7 სტატუსი შეჩერებული), და ვებ ინტერფეისის დეველოპერი- 4. მილევად რეჟიმში მიმდინარე პროგრამებისთვის პროფესიული სტუდენტების ჯამური ზღვრული რაოდენობაა 78.
ექსპერტთა შეფასებით მატერიალური და ადამიანური რესურსის თვალსაზრისით დაწესებულება შეფერხების გარეშე შეძლებს მოთხოვნილი პროგრამების განხორციელებას მილევადი რეჟიმში მიმდინარე პროგრამების პარალელურად.
კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია- პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირის-დირექტორის მიერ; დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურა, პროცედურა ითვალისწინებს კონკრეტული პროგრამის განხორციელების, ასევე სწავლების მიდგომის (დუალური სწავლების მიდგომით და დაწესებულებაში განსახორციელებელი) შესახებ გადაწყვეტილების მიღების დასაბუთების აუცილებლობას;
ცენტრის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაციის გადამოწმების და განხორციელებული ვიზიტის შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანისთვის დადგენილი პროცედურა;
საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები; პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, ახლავს სასწავლო გეგმები და მოდულები. თითოეულ პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამები და მოდულები გადამუშავებულია/ადაპტირებულია.

ექსპერტების მიერ შემოწმდა სასწავლო გეგმები, პროგრამების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის შესაბამის მოდულებში განსაზღვრული წინაპრობები და სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით.

პროგრამების განხორციელებისთვის დაწესებულებას აქვს არგუმენტირებული საფუძველი, რომელიც წარმოდგენილი იყო ექსპერტებისთვის ვიზიტის პერიოდში, დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება, კურსდამთავრებულებთან ჩატარებული გამოკითხვები და დასაქმების მონიტორინგიც ადასტურებს პროგრამების აქტუალობას. 2017-18 წლის დასაქმების მონიტორინგის მიხედვით პროგრამები: ბართენდერი, მზარეული, ელექტროობა, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი 90%-ანი დასაქმების მაჩვენებელით გამოირჩევა.

2018 წლის კურსდამთავრებულთა **კმაყოფილების კვლევის** ფარგლებში დაწესებულების მიერ გამოიკითხა 194 კურსდამთავრებული, კვლევა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს საშუალებით. გამოკითხულთა 69,9% კმაყოფილია არჩეული პროგრამით. დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 65,5% აღნიშნავს , რომ მათი საქმიანობა სრულად ან ნაწილობრივ დაკავშირებულია მიღებულ განათლებასთან/პროფესიასთან. სწავლის მეთოდებით კმაყოფილებას გამოთქვამს კურსდამთავრებულთა 57,7%, გამოკითხულთა 94,3% კმაყოფილია სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობებით.

კოლეჯის ხედვაა გახდეს რეგიონში პროფესიული სწავლების ლიდერი, რომელიც განვითარებაზე ორიენტირებული მოქნილი შიდა სისტემის ჩამოყალიბებით პროფესიულ სტუდენტსა და მსმენელს სთავაზობს ხარისხიან განათლებას, ხელს უწყობს მის კარიერეულ წინსვლას და უზრუნველყოფს შრომის ბაზარს კონკურენტუნარიანი , მაღალ კვალიფიციური კადრებით. 2019-26 წლებში კოლეჯი პრიორიტეტად ისახავს ტურიზმისა და სამშენებლო მიმართულების პროგრამების განითარებას, ხოლო ზემო აჭარაში აგრარული მიმართულების განვითარებას. ამ ამოცანის შესასრულებლად დაწესებულების წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაში. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა **ტურიზმისა და სამშენებლო**

სექტორში ჩატარებული **„დამსაქმებელთა განწყობილების“** კვლევის ანგარიში. აღნიშნული კვლევა ჩატარდა კითხვარების საშუალებით Google Drive-ის პროგრამის მეშვეობით. სამშენებლო სექტორში კვლევებში მონაწილეობა მიიღო 9 კომპანიამ, ტურიზმის სექტორში კვლევებში მონაწილეობა მიიღო 10 კომპანიამ. კითხვარის შეფასების მიხედვით კომპანიების ინტერესის სფეროში შედის შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები - სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოთა წარმოება-66,7%, “სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/იატაკისა და ფილის სამუშაოები“- 62,5 %, საავტომობილო გზების მშენებლობა-25.0%, ანაკრები და მონოლითური სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა - 22,2 %, ელექტროობა, ზეინკალ-სანტექნიკოსი , ბართენდერი- 50%, სასტუმრო მომსახურება- 30%, სარესტორნო მომსახურება-70%, კულინარიის ხელოვნება- 60%, კონდიტერია- 60%.

უნდა აღინიშნოს, რომ **ტურიზმის მიმართულებით** დამსაქმებელთა 90% ინფორმაციას პროფესიული განათლების შესახებ ღებულობს პროფესიული კოლეჯის თანამშრომლებისგან, **სამშენებლო მიმართულების დამსაქმებელთა** 88.2% ინფორმაციას პროფესიული განათლების შესახებ ღებულობს პროფესიული კოლეჯის თანამშრომლებისგან, და ყველა მათგანს აქვს სურვილი დუალური სწავლების პროცესში ჩართულობის და გეგმავს კოლეჯთან თანამშრომლობას.

ექსპერტების მიერ ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა **სამმხრივი ხელშეკრულებები** საწარმოს, კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს/მის კანონიერ წარმომადგენელს შორის. ხელშეკრულების საგანია კოლეჯისა და საწარმოს მიერ პროფესიული სტუდენტისათვის იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების უზრუნველყოფა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

ხელშეკრულება ითვალისწინებს მხარეთა უფლებამოვალეობებს და უფლებამოსილებას, საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობას და სტუდენტის დატვირთვას კოლეჯსა და საწარმოში, საწარმოში მუშაობის პირობებს, შრომის ანაზღაურებას და შვებულებას, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და სხვა პირობებს. **ექსპერტთა შეფასებით სამმხრივი ხელშეკრულება უზრუნველყოფს დუალური პროგრამების მდგრადობას და ეფექტურობას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა **პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებული ჩანაწერების ჟურნალები.** აღნიშნულ ჟურნალში გაწერილია პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები, სწავლების მიმდინარეობის ვადები კოლეჯსა და საწარმოში, ანაზღაურება სწავლების პერიოდში, ინფორმაცია სწავლების პერიოდში ჯანმრთელობის/სიცოცხლის/უბედური შემთხვევის დაზღვევის შესახებ, პროფესიული სტუდენტის შეფასების შესახებ, რეკომენდაციები პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის შესახებ, ინფორმაცია კოლეჯსა და საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების დადასტურების შესახებ. ჟურნალში ასევე ცხრილის სახით მოცემულია ინფორმაცია ყოველდღიური ჩანაწერების (კალენდარული კვირის მიხედვით) შესახებ, რომელიც დასტურდება ინსტრუქტორის ხელმოწერით. პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის წარმოება საწარმოში და სამუშაო ადგილებზე ამოქმედდა უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. <u>აღნიშნული ჟურნალი შემუშავებულია კერძო სექტორის განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ, გერმანიის თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით.</u>

ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიურება განახორციელა **ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან.** მათ კონკრეტული სტუდენტებისთვის შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური გეგმები. შშმ და სსმპ არიან ინკლუზიური სპეციალისტების მუდმივი ყურადღების ქვეშ. ინკლუზიური განათლების სპეციალისტები პერიოდულად გადიან გადამზადებას, მათ ისწავლეს ჟესტების ენა.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

**კულინარიის ხელოვნება**

პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის "სასტუმრო, რესტორანი და კვება" საფუძველზე.

დაწესებულებას პროგრამისთვის გააჩნია (A,B,C) გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე ჯგუფში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,კულინარიის ხელოვნება“** ორივე(დუალური და მოდულური) მიდგომით ხორციელდება, მოთხოვნილი კვოტა-60. გარემოს ფართი, აღჭურვილობა და მატერიალური რესურსი კვოტის შესაბამისია. ვიზიტის დროს მიმდინარეობს სწავლება კულინარიის ხელოვნების 2 დუალურ და 2 მოდულურ ჯგუფში, დუალური მიდგომით განხორციელებულ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლებას გადიან პარტნიორ ორგანიზაციებში. აჭარა ტურისტული რეგიონია და პროგრამა არის შრომის ბაზარზე ერთ- ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროგრამა; კოლეჯს აქვს მზარეულის პროგრამის კოლეჯში განხორციელების ცხრაწლიანი გამოცდილება. პროგრამა ყველაზე მოთხოვნადია როგორც შრომის ბაზრის, ასევე, აპლიკანტთა მხრიდან.

2018 წლის 6 ნოემბერს ჩატარდა შუალედური გამოცდა კულინარიის ხელოვნებაში. ექსპერტები გაეცნენ შუალედური გამოცდის მასალებს: ტესტი, პრაქტიკული დავალების აღწერილობა და შეფასების ფურცელი, დავალებები და კრიტერიუმები ვალიდურია და ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების საშუალებას იძლევა. შუალედური გამოცდა განმავითარებელი ხასიათისაა და გამოცდის შედეგებმა საშუალება მისცა როგორც სტუდენტს, ისე კოლეჯს დაგეგმოს პროგრამის შემდგომი განვითარება სწორად.

პროგრამის ხანგრძლივობა პროგრამის დუალური სწავლების მიდგომით განხორციელების შემთხვევაში შეადგენს ორ წელს, პროგრამის დაწესებულებაში განხორციელების შემთხვევაში შეადგენს 15 სასწავლო თვეს.

პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯს ამ ეტაპზე გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები:

1.შპს ,,ტურინვესტი“ (სასტუმრო ,,Hilton Batumi”) - №94; 14.08.2017 (შეთანხმებები: №1 18.10 17; ; №2; 01.07; 18) - (იურიდიული მისამართი - ქ. ბათუმი, ე. თაყაიშვილის ქ. №13; ფაქტობრივი მისამართი - რუსთაველის ქ. №40) - 3 პროფესიული სტუდენტი;

2. შპს ,,ქარაფი“ ( სასტუმრო ,,Castello Mare” ) - №93; 14.08.2017 (შეთანხმება №1; 02.07.18) - (იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი - ქობულეთი, დაბა ციხისძირი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შპს ,,არგო მენჯმენტი ( ,,სასტუმრო რედისონ ბლუ ბათუმი) - №55; 16.07.18 (იურიდიული მისამართი - ქ. ბათუმი, ბარბიუსის ქ. №6; ფაქტობრივი მისამართი - ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №1)- 5 პროფესიული სტუდენტი;
4. სს ,,ნუროლ ინშაატ ვე თიჯარეთი" - ს წარმომადგენლობა საქართველოში ( სასტუმრო ,,შერატონ ბათუმი") - №62; 23. 07. 18 (იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი - ვაჟა ფშაველას და ნინოშვილის ქ. №2/21)- 5 პროფესიული სტუდენტი;
5. შპს ,,აქთ ივ ბათუმი", ( სასტუმრო ,Windham Batumi") - №59; 23.07.18 (იურიდიული მისამართი - ბათუმი, თამარის დასახლება, ბნქ, ტერიტორია; ფაქტობრივი მისამართი - ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ. №33- 4 პროფესიული სტუდენტი;

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

**კონდიტერია**

პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სასტუმრო,რესტორანი და კვება" საფუძველზე.
დაწესებულებას პროგრამისთვის გააჩნია (A,B,C) გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე ჯგუფში.
პროფესიული პროგრამა ''**კონდიტერია"** ხორციელდება დუალური მიდგომით. მოთხოვნილი კვოტა-27. გარემოს ფართი, აღჭურვილობა და მატერიალური რესურსი კვოტის შესაბამისია.
პროგრამის ხანგრძლივობა - 2წელი (ქართული ენა - A2" მოდულის ჩათვლით 2 წელი და 5 თვე).
სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებისთვის
გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის **53% მიიღწევა** რეალურ სამუშაო გარემოში.
პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯს ამ ეტაპზე გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები:
1. შპს ,,ტურინვესტი' (სასტუმრო ,,Hilton Batumi") - №38; 05.05.18 (იურიდიული მისამართი - ქ. ბათუმი, ე. თაყაიშვილის ქ. №13; ფაქტობრივი მისამართი - ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №40) – 3 პროფესიული სტუდენტი;

2. შპს ,,არგო მენჯმენტი ( ,,სასტუმრო ,,რედისონ ბლუ ბათუმი“) - №56; 16.07.18 (იურიდიული მისამართ - ქ. ბათუმი, ბარბიუსის ქ. №6; ფაქტობრივი მისამართი - ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №1)- 5 პროფესიული სტუდენტი;

3. სს ,,ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთი“ წარმომადგენლობა საქართველოში - ( სასტუმრო ,,შერატონ ბათუმი“) - №63; 23.07.18 (მისამართი - ვაჟა ფშაველას და ნინოშვილის ქ. №2/21)- 5პროფესიული სტუდენტი;

4. შპს ,,აქთივ ბათუმი“ ( სასტუმრო ,,Windham Batumi”) - №60; 23.07.18 (იურიდიული მისამართი - ბათუმი, თამარის დასახლება, ბნქ ტერიტორია; ფაქტობრივი მისამართი - ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ. №33- 4 პროფესიული სტუდენტი;

5. შპს ,,ათილა“ ( საკონდიტრო ,,დერგაჰ“) – № 54; 13.07.18 (მისამართი - ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ.№ 46/ ქ. ბათუმი, შესახვევი რ. კომახიძე №18);- 2 პროფესიული სტუდენტი;

6. შპს ,,ალუბალი“ ( საკონდიტრო ალუბალი“) - №35; 05.07.18 (იურიდიული მისამართი - ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №46; ბ.60; ფაქტობრივი მისამართი - ქ. ბათუმი, ალ. გრიბოედოვის ქ. №5)- 5 პროფესიული სტუდენტი;

7. სს ,,გუდვილი ( ჰიპერმარკეტი ,,გუდვილი) - №36; 05.07.18 ( იურიდიული მისამართი - თბილისი, ვაკე - საბურთალოს რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ. №9; ფაქტობრივი მისამართი - ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ. №88)- 3 პროფესიული სტუდენტი;

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

**ელექტროობა**

პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ელექტროობა“ საფუძველზე.

დაწესებულებას პროგრამისთვის გააჩნია (A,B,C) გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა მაქსიმუმ 17 პროფესიულ სტუდენტზე .

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ელექტროობა“** ხორციელდება მოდულური მიდგომით-თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილილია ჯგუფში მაქსიმუმ 17 პროფესიულ სტუდენტზე.

პროგრამის ხანგრძლივობა - 9 სასწავლო თვე (,,ქართული ენა A2” მოდულის ჩათვლით - 14 სასწავლო თვე).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაცნობითი პრაქტიკის უზრუნველყოფისთვის ხელშეკრულებებები გაფორმებულია შემდეგ საწარმოებთან:

- შპს „ანაგი“
- შპს “გ$^2$ ბილდინგი“
- შპს “ELESTER”

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**
**ინფორმაციის ტექნოლოგია**

პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ საფუძველზე.
დაწესებულებას პროგრამისთვის გააჩნია (A, A /B) გარემო , ორი B გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა გათვლილია მაქსიმუმ 20 პროფესიულ სტუდენტზე .
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ინფორმაციის ტექნოლოგია“** ხორციელდება ადგილზე (დაწესებულებაში) და კოლეჯის სასწავლო გარემო უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, გარემო გათვლილია 20 სტუდენტზე ჯგუფში.
კოლეჯში 2010 წლიდან ფუნქციონირებს Cisco-ს საერთაშორისო ქსელური აკადემია. აკადემია საკმაოდ კვალიფიციური კადრებითაა დაკომპლექტებული, კოლეჯს ჰყავს 5 ინსტრუქტორი. პროგრამა იმდაგვარადაა შედგენილი, რომ ის პროფესიულ სტუდენტებს პარალელურად cisco-ს სასწავლო რესურსების გამოყენების და აკადემიის სერტიფიკატის მოპოვების საშუალებას აძლევს. პროგრამის ხანგრძლივობა - 11თვე.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**
**“სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება“**

პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის -„ მშენებლობის წარმოების“ საფუძველზე.
პროგრამისათვის კოლეჯში გამოყოფილია სამი სასწავლო გარემო ( A, B, C) თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილილია ჯგუფში მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე. ხელშეკრულებები გაფორმებულია 4 საწარმოსთან ჯამში 35 პროფესიულ სტუდენტზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შპს ,,ანაგი“ - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა - მაქსიმუმ - 10 პროფესიული სტუდენტი;

2. შპს ,,ორბი ჯგუფი“ - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა - მაქსიმუმ - 10 პროფესიული სტუდენტი;

3. შპს ,, შპს ,,გ2 ბილდინგი“ - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა - 10 პროფესიული სტუდენტი;

4. შპს ,,გზა“ - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა - მაქსიმუმ - 5 პროფესიული სტუდენტი;

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა გათვლილია 2 წელზე. პროგრამაზე სწავლება განხორციელდება **დუალური მიდგომით.**

პროგრამის მიხედვით საერთო სავალდებულო მოდულებით გათვალისწინებული **სწავლის შედეგების 53% მიიღწევა საწარმოებში.**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

**მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები“**

პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის-„ მშენებლობის წარმოების“ საფუძველზე.

პროგრამისათვის კოლეჯში გამოყოფილია სამი სასწავლო გარემო (A, B, C) თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილილია ჯგუფში მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება ორგვარი მიდგომით:

I. პროგრამა ხორციელდება დაწესებულებაში;

II. პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის **52%** მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში.

სწავლების ხანგრძლივობა პროგრამის **დუალური სწავლების მიდგომით განხორციელების შემთხვევაში შეადგენს ორ წელს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლების ხანგრძლივობა **პროგრამის დაწესებულებაში განხორციელების შემთხვევაში შეადგენს 15 სასწავლო თვეს (62 სასწავლო კვირა).**
ხელშეკრულებები გაფორმებულია 3 საწარმოსთან ჯამში 30 პროფესიულ სტუდენტზე.

1. შპს ,,ანაგი" - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა - მაქსიმუმ - 10 პროფესიული სტუდენტი;
2. შპს ,,ორბი ჯგუფი" - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა - მაქსიმუმ - 10 პროფესიული სტუდენტი;
3. შპს ,, შპს ,,გ2 ბილდინგი" - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა - მაქსიმუმ - 10 პროფესიული სტუდენტი;

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**
**„საავტომობილო გზების მშენებლობა"**
**პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის-„**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის" საფუძველზე.

პროგრამისათვის კოლეჯში გამოყოფილია სამი სასწავლო გარემო (A, B, C) თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილილია ჯგუფში მაქსიმუმ 17 პროფესიულ სტუდენტზე.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია - საბაზო განათლება და 18 წელი.
პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის **65%** მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში.
სწავლების ხანგრძლივობა პროგრამის **დუალური სწავლების მიდგომით განხორციელების შემთხვევაში შეადგენს ორ წელს.**
ხელშეკრულებები გაფორმებულია 4 საწარმოსთან.
1. შპს ,,ზიმო - 7" - №37; 05.07.2018 – 10 პროფესიული სტუდენტი.
2. შპს ,გზა" - №48; 13.07.2018 – 6 პროფესიული სტუდენტი.
3. შპს ,,გზები" - №47; 13.07.2018 – 10 პროფესიული სტუდენტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შპს ,,ზონდი - 2009“ - №61; 23.07. 2018 – 6 პროფესიული სტუდენტი.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**
**„სამკერვალო წარმოება“**
**პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის**-სამკერვალო წარმოების საფუძველზე.

პროგრამისათვის კოლეჯში გამოყოფილია სამი სასწავლო გარემო (A, B, C) თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილილია ჯგუფში მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე. კოლეჯს გააჩნია ორი, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი სამკერვალო სახელოსნო. დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება მუშაობს ორ ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც. დაწესებულებას სურს, რომ აღნიშნულ პროგრამაზე განახორციელოს 2 ჯგუფის სწავლება.
სწავლების ხანგრძლივობაა 76 სასწავლო კვირა (19 სასწავლო თვე).
თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე პროფესიული ტესტირების გზით ჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა ,,ქართული ენა A2” მოდულით, 15 კრედიტის მოცულობით, რომლის სწავლებაც ხორციელდება 20 სასწავლო კვირის (5 სასწავლო თვე) მანძილზე. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის სწავლების ხანგრძლივობა იქნება 24 სასწავლო თვე.
ამ ეტაპზე კოლეჯი ახორციელებს მილევად რეჟიმში სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მოდულურ პროგრამას. შესაბამისად, სამომავლოდ აპირებენ კვოტას გაზრდას.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა ინტერვიურება განახორციელეს **პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.** ინტერვიურებისას დადგინდა, რომ თვითოეული პროფესიული განათლების მასწავლებელი აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესებში. მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული დუალური მიდგომით სწავლების მეთოდები. ისინი მონაწილეობას იღებენ შუალედური/საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებაში. აღნიშნულ გამოცდებზე შედეგებს დასადასტურებლად ირჩევენ სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალიდან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება ზრუნავს მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. პერიოდულად ახდენენ მასწავლებელთა ტრენინგებზე წარგზავნას, რომელიც ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ზოგიერთი მათგანი ჩართული იყო პროფესიული სტანდარტების და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფმა **ინტერვიურება ასევე განახორციელა პროფესიულ სტუდენტებთან.** მათ აღნიშნეს, რომ დუალური სწავლება ძალზედ კარგია სპეციალობის დასაუფლებლად. უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ინსტრუქტორის ზედამხედველობის ქვეშ ასრულებენ სპეციალიზებულ სამუშაოებს, ყოველდღიურად ავსებენ სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს. ისინი ხელშეკრულების შესაბამისად იღებებ ანაზღაურებას. ზოგიერთი კომპანია დაზღვევას უკეთებს სტუდენტებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადიან თეორიულ სწავლებას. სტუდენტებმა სურვილი გამოთქვეს, რომ C გარემო პროგრამებისთვის კონდიტერია და კულინარიის ხელოვნება იყოს გამოცალკევებული. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯში იმართება სპორტული თამაშები სხვადასხვა სახეობებში, სტუდენტები გამოთქვამენ სურვილს, რომ კოლეჯს ჰქონდეს სპორტული დარბაზი, სადაც თავისუფალ დროს გაატარებენ.

ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიურება განახორციელა მემორანდუმით გაფორმებულ კომპანიების წარმომადგენლებთან. ვიზიტი განხორციელდა შემდეგ კომპანიებთან:

- **შპს „ანაგი“ - სამშენებლო კომპანია.** კომპანია ჩართულია დუალური სწავლების პროცესში. შინაგანაწესის მიხედვით კომპანია არ ასაქმებს არასრულწლოვან პირებს. აქედან გამომდინარე ამ ეტაპზე დასაქმებულია 3 პროფესიული სტუდენტი. კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის მნიშვნელოვანია თვითონ აღზარდონ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც მომავალში მათთან დასაქმდებიან. კომპანიაში გამოყოფილია რამოდენიმე ინსტრუქტორი, რომელთა მეთვალყურეობის ქვეშ ასრულებენ სამუშაოს პროფესიული სტუდენტები. სტუდენტებს უნაზღაურდებათ კომპანიაში მუშაობის დრო ხელფასის სახით. კომპანიის მენეჯერმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს სამუშაოს

დაწყების წინ ჩაუტარდათ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი- შესავალი ინსტრუქტაჟი. დამატებით შემთხვევებშიც უტარდებათ ინსტრუქტაჟი. სტუდენტების უსაფრთხოება დაცულია. კომპანიას ყავს ექთანი ობიექტზე. ადგილზე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა 2 პროფესიულ სტუდენტს. ისინი აღჭურვილნი იყვნენ პირადი დამცავი აღჭურვილობით- სპეციალური ფეხსაცმელი, ჩაფხუტი, ჟილეტი. მათ აღნიშნეს, რომ კომპანიის ინსტრუქტორი ხელმძღვანელობს მათ, რომელიც კვირაში ერთხელ ან ყოველდღიურად ამოწმებს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს და ხელმოწერით ადასტურებს მას. სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სწავლების დუალური მეთოდის მიმართ.

- **შპს „გზა"-სამშენებლო კომპანია.** კომპანია ჩართულია დუალური სწავლების პროცესში. კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია დუალური სწავლების პროცესში ჩართვა. ეს მათთვის ქმნის შესაძლებლობას, თვითონვე აღზარდონ იმ პრაქტიკული უნარების მქონე პირები, რომლებიც მათ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. სამმხრივი ხელშეკრულება გაფორმებულია 3 პროფესიულ სტუდენტთან. კომპანიაში ვიზიტისას ადგილზე ერთი სტუდენტი მუშაობდა. მან აღნიშნა, რომ დღის ბოლოს ავსებს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ინსტრუქტორი ამოწმებს. შრომის უსაფრთხოება დაცული იყო ადგილზე, პროფესიული სტუდენტი აღჭურვილი იყო პირადი დამცავი აღჭურვილობით. სტუდენტმა გამოთქვა კმაყოფილება დუალური მიდგომით სწავლის შესახებ. მან აღნიშნა, რომ უშუალოდ ობიექტზე ყოფნა და სამუშაო პროცესებში ჩართვა მნიშვნელოვანია კვალიფიკაციის ასამაღლებლად და საქმის კარგად შესასწავლად.

- **შპს „შერატონი"-სასტუმრო.** ორგანიზაცია ჩართულია დუალური სწავლების პროცესში. ინსტრუქტორმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მაქსიმალურად უწყობენ ხელს სტუდენტებს, რათა გამოიმუშაონ საჭირო უნარ-ჩვევები და თავისუფლად შეძლონ შედეგების დადასტურება. მისი აზრით, სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულებაში კერძების ფრანგულ სახელწოდებების/ტერმინების სწავლებას მიექცეს ყურადღება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამომდინარე იქიდან, რომ ფრანგული ტერმინების გამოყენება კულინარიის მიმართულებით მიღებული პირობაა. უსაფრთხოების საკითხები დაცულია. ყოველი სამუშაოს შესრულების წინ უტარებენ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს. ინსტრუქტორი ყოველი სამუშაო დღის ბოლოს ან სამუშო კვირის ბოლოს ამოწმებს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, და საჭიროების შემთხვევაში შენიშვნების სახით აკეთებს ჩანაწერებს. ადგილზე მუშაობდა 3 პროფესიული სტუდენტი, რომლებიც შემოსილნი იყვნენ სპეციალური ფორმებით. მათ აღწერეს სამუშაო პროცესი. სასტუმროში კულინარიის ხელოვნების პროგრამის 6 სტუდენტია განაწილებული დუალური მიდგომის ფარგლებში, ხოლო კონდიტერიის პროგრამის - 3 სტუდენტი.

- **შპს „ალუბალი“ - საკონდიტრო.** დუალური პროგრამის ფარგლებში დასაქმებულია 3 სტუდენტი. ვიზიტის დროს ადგილზე მუშაობდა 3 სტუდენტი. ინსტრუქტორი კარგად იყო გარკვეული სასწავლო პროცესში, შედეგების შეფასების საკითხში.

- **შპს „ბათუმიტექსი“,** სწავლება მიმდინარეობს მოდულური პროგრამით. კოპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტები პრაქტიკას გადიან საწარმოში. მათ ყავთ დასაქმებული კოლეჯ „ბლექსის“ კურსდამთავრებული. მათ ერთდროულად შეუძლია 25 კურსდამთავრებულის დასაქმება. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის კურსდამთავრებულს, რომელიც დასაქმებულია აღნიშნულ საწარმოში. მან გამოთქვა კმაყოფილება კოლეჯის და საწარმოს მიმართ.

**აღსანიშნავია, რომ ყველა ორგანიზაცია, სადაც ექსპერტებმა ვიზიტი განახორციელეს, აღჭურვილი იყო საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.**

**დუალური პროგრამის ფარგლებში, საწარმოებში/ორგანიზაციებში ამჟამად გადანაწილებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა შეადგენს:**

- “სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოთა წარმოების“ პროგრამის **3 პროფესიული სტუდენტი** დუალური პროგრამის ფარგლებში განაწილებულია შპს „ანაგში“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- "სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოთა წარმოეის" პროგრამის **2 პროფესიული სტუდენტი** დუალური პროგრამის ფარგლებში განაწილებულია შპს „გზა"-ში.
- „საავტომობილო გზების მშენებლობის" პროგრამის **3 პროფესიული სტუდენტი** განაწილებულია შპს „ბონდში".
- „საავტომობილო გზების მშენებლობის" პროგრამის **6 პროფესიული სტუდენტი** განაწილებულია შპს „ზიმო"-ში.
- „საავტომობილო გზების მშენებლობის" პროგრამის **5 პროფესიული სტუდენტი** განაწილებულია შპს „გზებში".
- „საავტომობილო გზების მშენებლობის" პროგრამის **3 პროფესიული სტუდენტი** განაწილებულია შპს „გზა"-ში.
- „კულინარიის ხელოვნების' პროგრამის **6 პროფესიული სტუდენტი** განაწილებულია შპს „შერატონში"-ში.
- „კონდიტერის" პროგრამის **3 პროფესიული სტუდენტი** განაწილებულია შპს „შერატონში"-ში.
- „კულინარიის ხელოვნების' პროგრამის **9 პროფესიული სტუდენტი** განაწილებულია შპს „ჰილტონში". აქედან <u>1 სტუდენტს სტატუსი შეუჩერდება სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამოძახების გამო. აღნიშნული ვალდებულების მოხდის შემდგომ, სტუდენტი სწავლას გააგრძელებს ისევ დუალური სწავლების ფარგლებში.</u>
- „კულინარიის ხელოვნების' პროგრამის **5 პროფესიული სტუდენტი** განაწილებულია შპს „რედისონში".
- „კონდიტერის" პროგრამის **1 პროფესიული სტუდენტი** განაწილებულია შპს „რედისონში".
- „კონდიტერის" პროგრამის **3 პროფესიული სტუდენტი** განაწილებულია შპს „ალუბალში" .
- „კონდიტერის" პროგრამის **1 პროფესიული სტუდენტი** განაწილებულია შპს „გუდვილში" .
- „კულინარიის ხელოვნების' პროგრამის **5 პროფესიული სტუდენტი** განაწილებულია შპს „ვინდამში".



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „კონდიტერის“ პროგრამის 1 **პროფესიული სტუდენტი** განაწილებულია შპს „ვინდამში“.
- „კულინარიის ხელოვნების“ პროგრამის **5 პროფესიული სტუდენტი** განაწილებულია შპს „კასტელომარეში“.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ კომპანიები და საწარმოები ჩართულნი იყვნენ სტუდენტის დასადასტურებელი შედეგების გადანაწილების პროცესში მოდულების მიხედვით. ასევე, მათ აქვთ ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის შეფასების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- დაწესებულების წესდებით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესის, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურის“ დამტკიცების შესახებ, ბრძ.N01-02/61 23.04.2019
- საწარმოებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით და ხელშეკრულებებით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ინსტრუქტორებთან გასაუბრებით;
- პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუებით.
- ინტერვიუ ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან;
- ფაქტობრივი გარემოებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**: დაწესებულებაში არსებობს და ვებგვერდზეა ატვირთული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა, სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, პროგრამების მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციების, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებში გამოსახული მოცულობისა და თვეებში გამოსახული სწავლის ხანგრძლივობის, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების წესის შესახებ. დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს კოლეჯში 2018 წლის განმავლობაში განხორციელებული ვიზიტების დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და კატალოგში ასევე აღწერილია კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესი და კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი ტურიზმის/სამშენებლო მიმართულებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებგვერდით *http://batumiprof.ge*

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობის დადგენისთვის შედარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის ჩარჩო დოკუმენტებს.

შედარების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
- სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამებით;
- ჩარჩო დოკუმენტებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები რომელიც გაწერილია სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში .



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს გადამოწმდა წარმოდგენილ პროგრამებზე სტატუსის მინიჭება პროფესიული სტუდენტებისთვის ხდება თუ არა დაწესებულების რეგულაციისა და სრული კანონმდებლობის დაცვით. ასევე გადამოწმდა სტატუსშეჩრებული და შეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და ემისის ბაზა.

**ექსპერტთა შეფასებით სტატუსის მინიჭება პროფესიული სტუდენტებისთვის ხდება დაწესებულების რეგულაციისა და სრული კანონმდებლობის დაცვით.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეებით;
- ემისის ბაზით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში- სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები გათვალისწინებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს სხვადასხვა პროფესიულ თუ საზოგადოებრივ კოლეჯთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი სტუდენტებთან შეთანხმების გზით უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისთვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს

გადაყვანას იმ პროფესიულ საგანამანთლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები გაფორმებული აქვს შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:

- სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალ ტალღა“
- სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი“
- ა(ა)იპ-პროფესიულ კოლეჯთან „ჰორიზონტი“
- ა(ა)იპ-პროფესიული კოლეჯი “პრესტიჟი“
- სსიპ-საზოგაადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“
- სსიპ-პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა და დადგინდა, რომ აღნიშნული კოლეჯები ახორციელებენ იმ პროგრამებით სწავლებას, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესით“;
- მემორანდუმებით ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გააუმჯობესე“ ციკლს.
კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
ამ მიზნით კოლეჯში შექმნილია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი. აღნიშნული სისტემა ითვალისწინებს „დაგეგმე- განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლს, ციკლის თითოეული ეტაპი გაწერილია მასში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/პირების მითითებით. სისტემა ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, დაწესებულების მიერ შემუშავებულია კითხვარები სტუდენტისთვის, მასწავლებელისთვის, მათ შორის საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი.

ჯგუფი მუშაობას ახორციელებს არსებული რეგულაციების შესაბამისად, პროგრამების შეფასება ხორციელდება მეცადინეობებზე დასწრების, პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგების და პროფესიულ მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე. ანონიმურ გამოკითხვებს უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის, და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის მიერ.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ჩატარებული პროფესიული მასწავლებლების შეფასების შედეგები, პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგები, და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ანგარიშები წლების მიხედვით: 2017,2018 და 2019 წლის პირველი ნახევრის. პედაგოგებთან და კოლეჯის თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრის დასწრების შედეგები გათვალისწინებულია ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიშში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფის 2019 წლის პირველ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფის მიერ შესრულებული საუშაოების შესახებ. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი, მათ მიერ სისტემატურად ხდება პროფესიული სტუდენტების და მასწავლებლების გამოკითხვა, მეცადინეობებზე დასწრება. მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ სამუშაო ჯგუფი წელიწადში ორჯერ წარადგენს ანგარიშს მიმდინარე პროგრამების და არსებული გამოწვევების შესახებ, შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

კითხვარები ატვირთულია ვებგვერდზე, მათი გამოყენებით დაწესებულების წარმომადგენლები ახდენენ პროგრამის განხორციელების შეფასებას.
სტუდენტების გამოკითხვის შედეგებიდან ვგებულობთ, რომ დასრულებული მოდულების სწავლების ხარისხს დამაკმაყოფილებლდ აფასებს 33.3%, ხოლო 66.7% აფასებს დადებითად. გამოკითხვის შედეგებდან ასევე ვგებულობთ, რომ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა კმაყოფილია სასწავლო პროცესის ორგანიზებით, სასწავლო პროგრამით, შეფასების სისტემით, სასწავლო გარემოთი, მასწავლებელთა დამოკიდებულებით. პროფესიული სტუდენტების დიდი უმრავლესობა დადებითად აფასებს პროგრამას ელექტროობა.

ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია სტუდენტთა ინფორმირებულობის სისტემის სრულყოფა. სასწავლო წლის დასწაყისში პროგრამის ხელმძღვანელები და კურატორები პროფესიულ სტუდენტებს აცნობენ კოლეჯის წესდებას, შენაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქციას.

ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ყოველწლიურად შეიმუშავებს სამუშაო გეგმას და წლის ბოლოს შესრულებული სამუშაოების ანგარიშს. ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს ჯგუფის მიერ შემუშავებული 2019 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია კოლეჯის 2019 წლის სამოქმედო გეგმასთან. გეგმა მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა კულინარიის ხელოვნების და კონდიტერიის პროგრამების განხორციელების შეფასება, სასტუმრო მომსახურების და სარესტორნო მომსახურების ახალი პროგრამების შემუშავება და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელება, სამშენებლო მიმართულებით მიმდინრე პროგრამების განხორციელების შეფასება. ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების წყობის პროგრამის შემუშავება და განხორციელება, პროფესიული მომზადებისა დაგადმზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამის განხორციელების შეფასება, კომპიუტერული ქსელების და სისტემებისა და კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების ახალი პროგრამის შემუშავება და განხორციელება, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროგრამის განხორციელება, სამკერვალო წარმოების ოპტიმიზირებული პროგრამის განხორციელება, კოლეჯის ადამიანური რესურსის განვითარება, დუალური პროგრამის ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ამაღლება, წიგნადი ფონდის განახლება, ელექტრონულ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა სტუდენტისათვის, თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების გაუმჯობესება, პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის გაუმჯობესება, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემის სრულყოფა.

პროფესიული მასწავლებლების ძლიერი და სუსტი მხარის შეფასების, მათი დახმარების გაწევის მიზნით, და პროფესიული მასწავლებლის მუდმივი პროფესიული ზრდისთვის ხდება სამუშაო ჯგუფის წევრების დასწრება მეცადინეობებზე  და მასწავლებელთა შეფასება. შეფასება ხდება წინასწარ შედგენილი კითხვარის მეშვეობით.

კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები საინტერესოა იმით , რომ მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიას და გრაფიკულ გამოსახულებებს კითხვების მიხედვით.აღსანიშნავია, რომ სტუდენტები განსაკუთრებით კმაყოფილნი არიან სტუდენტსა და მასწავლებელს შორის ურთიერთობებით (94,3%)და საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელით (93,8%). კურსდამთავრებულთა 87.1% აღნიშნავს, რომ პროფესიულ კოლეჯში მიღებული განათლება ხელს უწყობს სამუშაოს დაწყებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებით, დამტკიცებული დირექტორის ბრძ.N01-02/80 14.05.2019.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფის 2018 წლის ანგარიშით;
- ფაქტობრივი გარემოებით;
- კოლეჯის ვებგვერდით;
- ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით;
- სტუდენტებთან გასაუბრებით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

## 2. მატერიალური რესურსი

**2.1** დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“ მდებარეობს ქალაქ ბათუმში, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა **92ა-ში[1],** ორსართულიან შენობაში. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა

---

[1] დაწესებულების იურიდიული მისამართი წესდებისა და შემოსავლების სამსახურის საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის მიხედვით არის ბათუმი, ლერმონტოვის 84. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის 19 ივნისს გაცემული #214208 (KA011741073059119) წერილით დასტურდება, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2018 წლის 9 იანვრის NM18000334/3 გადაწყვეტილების საფუძველზე მოახდინა სისტემური ნუმერაცია და ნომერი 84 ჩამოყალიბდა როგორც ნომერი 92ა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო, რომელსაც კოლეჯისათვის სარგებლობის უფლებით, მოსარგებლის არსებობის ვადით, გადაცემული აქვს 6479 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 2071.99 კვ.მ

დაწესებულება ასევე სახელმწიფოსგან სარგებლობის უფლებით ფლობს 2834 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს საერთო ფართით 2377.60 კვ.მ, რომელიც, კოლეჯის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ამ ეტაპზე არ გამოიყენება სასწავლო მიზნებისათვის. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ახალი შენობის პროექტირება დაწყებულია მშენებლობა დაიწყება 2019 წლის ბოლომდე.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა 92ა, საკადასტრო კოდი:05.26.03.005 | 2071,99 |
| 2 | ქ. ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა 61, საკადასტრო კოდი:05.28.05.007 | 2377,60 |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან [redacted]-08.05.2019;[redacted]-08.05.2019;
- ინფორმაცია საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს #214208 წერილით;
- აზომვითი ნახაზებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
დაწესებულებაში არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი A, B და C გარემოები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამისთვის გამოყოფილ სასწავლო გარემოს ოდენობას, ფართს (მინიმუმ 2 კვ.მ - 1 პროფესიულ სტუდენტზე), სასწავლო პროცესის გრაფიკს, პროგრამის ხანგრძლივობას და სპეციფიკას, მოდულური პროგრამის მოთხოვნადობას, პროგრამის განხორციელების მიდგომებს (მოდულური, დუალური), პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობებს, მემორანდუმის/ხელშეკრულების პირობებში საწარმოში მისაღები პროფესიული სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობას.

კოლეჯში არის A ტიპის 6 სასწავლო გარემო, სადაც შესაძლებელია ჯამში, ერთ ცვლაში 100 სტუდენტის განთავსება. B ტიპის 4 სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია 20-20 კომპიუტერი (ჯამში 80 კომპიუტერი) და შესაბამისი რაოდენობის მერხები, სკამები და დაფები და პროგრამების შესაბამისი ინვენტარი.

C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი აღჭურვილობებით და ჯამურად შესაძლებელია ერთ ცვლაში 120 პროფესიული სტუდენტის განთავსება.

**ელექტროობა** - დაწესებულებას პროგრამისათვის გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, A, B და C გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა, ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი - ფართიდან გამომდინარე შესაძლებელაი  მაქსიმუმ 17 პროფესიული სტუდენტის განთავსება.

**მშენებლობის წარმოება/ იატაკისა და ფილის სამუშაოები** - დაწესებულებას პროგრამისათვის გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, ორი A, B და ორი C გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა, ჯგუფში მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სამშენებლო კოსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება** - დაწესებულებას პროგრამისათვის გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, A, B და C გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა, ჯგუფში მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი. პროგრამა ხორციელდება დუალურად. შესაბამისად C გარემო ცალკეული მოდულების მიხედვით უზრუნველყოფილია საწარმოში.

**საავტომობილო გზების მშენებლობა** - დაწესებულებას პროგრამისათვის გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, ორი A გარემო, B გარემო, ჯგუფში მაქსიმუმ 17 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი.პროგრამა ხორციელდება დუალურად.C გარემო უზრუნველყოფილია საწარმოში.

**ინფორმაციის ტექნოლოგია** - დაწესებულებას პროგრამისათვის გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, A, A/B; ორი B გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა ჯგუფში მაქსიმუმ 20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი.

**სამკერვალო წარმოება** - დაწესებულებას პროგრამისათვის გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, A, B; ორი C გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა ჯგუფში მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი.

**კულინარიის ხელოვნება** - დაწესებულებას პროგრამისათვის გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, A, B; C გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა ჯგუფში მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი.

**კონდიტერია** - დაწესებულებას პროგრამისათვის გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, A, B; C გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა ჯგუფში მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვლილი. პროგრამა ხორციელდება დუალურად. შესაბამისად C გარემო ცალკეული მოდულების მიხედვით უზრუნველყოფილია საწარმოში.

**ექპერტთა შეფასებით კოლეჯში და საწარმოებში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი შეესაბამება კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტებით;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**: დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო, ბუნებრივი განათება, ელექტროენერგიის მიწოდებას უზრუნველყოფს სს ენერგო-პრო-ჯორჯია, სველი წერტილები (მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილები) განთავსებულია დაწესებულების პირველ სართულზე, წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს ბათუმის წყალი, გათბობის საშუალებად გამოიყენება ელექტროღუმელები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის მიერ კომუნალური ხარჯებისთვის გადახდილი ქვითრებით; (სს ენერგო-პრო-ჯორჯია, შპს ბათუმის წყალი);
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
კოლეჯის მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკარი/არქივარიუსი ერთი საშტატო ერთეულია. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 5 კომპიუტერი, დამატებით სამკითხველო გათვლილია 10 პროფესიულ სტუდენტზე, დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური (სულ 3717 ერთეული), ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებში (მოდულებში) მითითებულ ლიტერატურას და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. კოლეჯში არსებობს როგორც ბეჭდური ისე ელექტრონული კატალოგი (OPAC), კატალოგზე წვდომა შესაძლებელია შემდეგი ბმულიდან:
http://obib.batumiprof.ge/opac/index.php,
ელექტრონულ კატალოგში იძებნება 3186 ჩანაწერი. შემუშავებულია და საჯაროდ ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. კოლეჯის ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში 5 დღე ორშაბათიდან - პარასკევის ჩათვლით დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე. შესვენება– 13–14 საათამდე.
კოლეჯში ახალი პროფესიული პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ხდება წიგნადი ფონდის მუდმივი განახლება .

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნები;
- ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული კატალოგებით;
- ხელშეკრულებით;
- ვებ გვერდით (http://batumiprof.ge/ბიბლიოთეკა/)
- წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია 315 კომპიუტერი, ხოლო პერსონალისათვის 30 კომპიუტერი, ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი, კომუნიკაციისათვის გამოიყენება ასევე დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow. კოლეჯი ასევე ჩართულია პროფესიული კოლეჯების ერთიან ბაზაშიhttps://evet.emis.ge/. გადამოწმდა „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მუშაობის წესი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 4 ივნისის #01-02/69 ბრძანებით), ასევე რეესტრში ასახული ინფორმაციის შედარება ფაქტობრივ მდგომარეობასთან (საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და ა.შ) მოხდა გასაუბრება რეესტრის წარმოების სპეციალისტთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- https://evet.emis.ge/. ბაზით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მუშაობის წესით“
- გასაუბრებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow შესაბამისად, შემოსულ-გასული კორესპონდენცია იტვირთება ელექტრონულად. შემუშავებულია საქმისწარმოების წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 18 ივლისის #01-02/87 ბრძანებით). ასევე შემუშავებულია საქმეთა ნომენკლატურა. ბრძანებები გამოიცემა მატერიალური ფორმით იტვირთება ელექტრონულ სისტემაში და ხდება მათი ჟურნალებში რეგისტრაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების წესით;
- ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებაში შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია" შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლმაქრები დამუხტულია და ვადიანია, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, კოლეჯში არის სამედიცინო პუნქტი და მუშაობს მედდა, წესრიგის დაცვისათვის გაფორმებულია ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან და კოლეჯს ემსახურება 2 მანდატური.
ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტისას დაათვალიერეს გარემო და შეამოწმეს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით.
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.
- კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმებით;
- სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი" შინაგანაწესი
- დამტკიცებული საევაკუაციო გეგმით;
- ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- წესრიგის დამცველებთან და სამედიცინო პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით;

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, პირველ სართულზე შესვლა შესაძლებელია პანდუსით, ასევე სართულებს შორის გადასაადგილებლად მოწყობილია ასაკეცი პანდუსი, პირველ სართულზეა განლაგებული სველი წერტილები (მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილები). კომპიუტერულ კლასში 1 კომპიუტერში ჩატვირთულია სპეციალური პროგრამა მხედველობის არ მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის. კოლეჯში გამოყოფილია სსსმ პირთა გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირი. კოლეჯს ყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპაციალისტი და სსსმ პირის ასისტენტი. კოლეჯში შტატგარეშე თანამშრომლად ასევე აყვანილია ჟესტური ენის თარჯიმანი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით.
- კოლეჯის წარმომაგენლებთან გასაუბრებით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები,

პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
ვებ-გვერდი http://batumiprof.ge ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები, დაწესებულების სტრუქტურა, დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, ინფორმაცია ხარისხის სამსახურის შესახებ, ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ინფორმაცია პერსონალის შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, 2019-2026 წლების სტრატეგიული და 2019 წლის სამოქმედო გეგმები, ინფორმაცია პარტნიორების შესახებ კითხვარები, საკონტაქტო ინფორმაცია, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის ჩამონათვალი, ფოტო-გალერეა. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად. ვებგვერდი ასევე იძლევა უკუკავშირის შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდით http://batumiprof.ge
- დომენის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**რეკომენდაცია:** სასურველია ვებგვერდზე განთავსდეს დაწესებულების წლიური ანგარიშები (სამოქმედო გეგმის შესრულების, ფინანსური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები და სხვა). აღნიშნული უზრუნველყოფს მეტ გამჭვირვალობას დაინტერესებული მხარეებისთვის (პარტნიორი ორგანიზაციები, აპლიკანტები და სხვა). მათ ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია კოლეჯის შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
კოლეჯს შემუშავებული აქვს ახალი 2019-2026 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. კოლეჯის გრძელვადიანი და 2019 წლის სამოქმედო გეგმები კოლეჯის დირექტორის წარდგინებით დამტკიცებულია კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს 2019 წლის 3 მაისის სხდომაზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 მაისის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - პროფესიული კოლეჯი „ბლექსის" წესდების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო არის უფლებამოსილი მართვის ორგანო, რომელიც დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს კოლეჯის სამოქმედო გეგმას. სტრატეგიული გეგმა ანალიტიკური ტიპის დოკუმენტია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების ისტორიის, მისიის განაცხადის, სტრატეგიის დასაბუთების, სტრატეგიული ჩარჩოს, დაგეგმვის და მონიტორინგის პროცედურების შესახებ (მეთოდოლოგია).
სტრატეგიული ჩარჩო მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- პროგრამების განვითარება და განხორციელება;
- პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის მოზიდვა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა;
- რესურსების განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფა.

2019 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად გაწერილი ამოცანები, ღონისძიებები, ნიშანსვეტი (შესრულების ინდიკატორი), პასუხისმგებელი პირები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

წინა სტრატეგიული გეგმა მოიცავდა 2015-2021 წლებს. წარმოდგენილია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები. შესწავლილ იქნა 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, ანგარიშში მოცემულია დაწესებულების მიერ შესრულებული აქტივობები 2018 წლის განმავლობაში სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, რომელიც შედგენილი იყო swot ანალიზის მეთოდოლოგიის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზე. ანგარიში მოიცავს დაწვრილებით ინფორმაციას 2018 წლის განმავლობაში მიმდინარე მოდულური და დუალური პროგრამების, კოლეჯში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის და კურსდამთავრებულთა რაოდენობის შესახებ, პარტნიორი ორგანიზაციების, გაუქმებული პროგრამების შესახებ. ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია კოლეჯში დანერგილი პროფორიენტაციის მიზნით განხორციელებული აქტივობების შესახებ, მათ შორის სსსმ პირთათვის, ასევე ინფორმაცია კარიერის დაგეგმვისა და გაწეული საპროფორიენტაციო მუშაობის შესახებ. ანგარიში მოიცავს ძირითად მიგნებებს, რომელიც ეფუძნება კოლეჯის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას ტურიზმისა და სამშენებლო მიმართულებით ჩატარებული ბაზრის განწყობილების კვლევის შედეგებს და ინფორმაციას ზემო აჭარაში ჩატარებული შრომის ბაზრის შესწავლის, ასევე ინფორმაციას 2018 წლის განმავლობაში განუხორციელებელი აქტივობების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა 2018 წლის განმავლობაში ექსპერტთა ვიზიტების დროს მიღებული რეკომენდაციები სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების თაობაზე, მინდინარე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ეყრდნობა დაგეგმვის მეთოდოდლოგიას და მათში განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები და გაწერილია სამუშაოს შესრულების ვადები უფრო დაზუსტებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსის" 2019-2026 წლების სტრატეგიული და 2019 წლის სამოქმედო გეგმით;
- სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმით 03.05.2019, N4
- დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებით.
- 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 3. ადამიანური რესურსი

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
კოლეჯის საშტატო განრიგი - თანამდებობები, თანამდებობების რაოდენობა და თანამდებობრივი სარგო შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან (31.01.2019) და დამტკიცებულია კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ (01.02.2019, ოქმი N6). კოლეჯის სტრუქტურა შედგება დირექციისგან, ადმინისტრაციისგან და ტექნიკური პერსონალისგან. საშტატო ერთეულების რაოდენობაა 27. დირექცია შედგება დირექტორისგან და დირექტორის მოადგილისგან. კოლეჯის ადმინისტრაციაში მოიცავს 15 საშტატო ერთეულს, კერძოდ: ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, შესყიდვების სპეციალისტი, იურისტი, რეესტრის წარმოების სპეციალისტი, ლოჯისტიკის მენეჯერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ქსელის ადმინისტრატორი, PR მენეჯერი, ბიბლიოთეკარი/არქივარიუსი. ტექნიკური პერსონალი შედგება მედდისგან, დამხმარე თანამშრომლებისგან, დამლაგებლებისაგან და დარაჯებისგან.

კოლეჯის შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობების დასახელებები და რაოდენობები შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან (წერილი MES 8 19 00363007 28.03.2019) და მოიცავს შემდეგ თანამდებობებს: ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორი, დარაჯი (3), „სკოლის მოსწავლეებში პროფესული უნარების განვითარების ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული პროფესიული უნარების კურსის სკოლის მასწავლებელი (11), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი (2), სსსმ პირის ასისტენტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი (90), ჟესტური ენის თარჯიმანი.

დაწესებულებაში შემუშავებულია თანამშრომელთა სამსახურებრივი ინსტრუქციები (ბრძანება N01-02/44, 28.03.2019) და პერსონალის საკვალიფიკაციო

მოთხოვნები (ბრძანება N01-02/73, 03.05.2019). ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები, ასევე შედგა გასაუბრება ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან და დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ შემუშავებულ მოთხოვნებს და დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საშტატო განრიგით;
- პერსონალის პირადი საქმეები.
- სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი" თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციებით;
- სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი" დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კოლეჯის ვებგვერდით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისის კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. ამ ეტაპზე დაწესებულებას ყავს 55 პროფესიული მასწავლებელი. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

300 - ით განსაზღვრის შემთხვევაში თანაფარდობა იქნება დაახლოებით 5 პროფესიული მასწავლებელი/ 1 პროფესიულ სტუდენტზე.

ამ ეტაპზე დაწესებულებაში 222 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტია.

**ქვემოთ წარმოდგენილია დაწესებულების განმახორციელებელი პერსონალი პროგრამების მიხედვით:**

**„საავტომობილო გზების მშენებლობა“**

- პროგრამის განმახორციელებელი - 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი და 6 ინსტრუქტორი.

**“სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოთა წარმოება“**

- პროგრამის განმახორციელებელი -15 პროფესიული განათლების მასწავლებელი და 7 ინსტრუქტორი.

**“სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/იატაკისა და ფილის სამუშაოებს“**

- პროგრამის განმახორციელებელი -15 პროფესიული განათლების მასწავლებელი და 5 ინსტრუქტორი.

**„სამკერვალო წარმოება“**

- პროგრამის განმახორციელებელი -15 პირი

**„კონდიტერია“**

- პროგრამის განმახორციელებელი - 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი და 16 ინსტრუქტორი .

**„კულინარიის ხელოვნება“**

- პროგრამის განმახორციელებელი-19 პროფესიული განათლების მასწავლებელი და 27 ინსტრუქტორი .

**„ელექტროობა“**

- პროგრამის განმახორციელებელი -14 პირი

**„ინფორმაციული ტექნოლოგია“**

- პროგრამის განმახორციელებელი- 14 პირი

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებს. მასწავლებელთა კვალიფიკაცია დასტურდება

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სერთიფიკატები).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- საინფორმაციო ბაზით evet.emis.ge.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

დაწესებულებას აქვს პროფესიული მასწავლებლის შერჩევის პროცედურა, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის პერიოდში გაეცნო პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს. შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობით, შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა და დასაქმებულთა თანამდებობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით"დადგენილი წესით და მოიცავს კოდექსით განსაზღვრულ შრომის არსებით პირობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- დოკუმენტაციით, სადაც დაწესებულების მიერ დადგენილია პირობები;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია**

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებისთვის სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 378-ით.

მოთხოვნილი პროგრამებისთვის სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 300-ით.

მილევად რეჟიმში მიმდინარე პროგრამებისთვის სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა 78.

*ა) გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.*

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საავტომობილო გზების მშენებლობა | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო | 84 | 99 | ქართული | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის | 17 | 32 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | (დუალური) | | მშენებლობაში 0732 | | | | N92ა | | |
| 2 | სამშენებლო კონსტრუქციებ ის მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება (დუალური ) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციე ბის მოწყობაში 0732 | 58 | 73 | ქართული | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა | 5 | 30 |
| 3 | მშენებლობის წარმოება/იატა კისა და ფილის სამუშაოები (მოდულური , დუალური) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში 0732 | 82 | 97 | ქართული | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა | 0 | 30 |
| 4 | სამკერვალო წარმოება (მოდულური) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 0723 | 99 | 114 | ქართული | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა | 0 | 30 |
| 5 | კულინარიის ხელოვნება (მოდულური, დუალური) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 1013 | 80 | 95 | ქართული | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა | 57 | 60 |
| 6 | კონდიტერია (დუალური) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაშ ი 1013 | 80 | 95 | ქართული | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა | 13 | 27 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ელექტროობა (მოდულური) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713 | 52 | 67 | ქართული | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა | 27 | 51 |
| 8 | ინფორმაციის ტექნოლოგია (მოდულური) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612 | 60 | 75 | ქართული | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა | 40 | 40 |

*ბ) გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პრიოფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.*

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამკერვალო წარმის სპეციალისტი | მესამე საფეხური | სამკერვალო წარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360 | 88 | 103 | ქართული | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა | 36 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | ბართენდერი | მესამე საფეხური | ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112067 | 61 | 76 | ქართული | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა | 38 |
| 3 | ვებ ინტერფეისის დეველოპერი | მესამე საფეხური | ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040165 | 67 | 82 | ქართული | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა | 4 |

**IX. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (გამოგზავნილია ცენტრში დასკვნის პროექტთან ერთად)

**19.07.2019**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: